წერილის ნომერი: **18-01191094156**
თარიღი: **19/04/2019**
პინი: **5478**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური") განიხილა თქვენი 2019 წლის 12 აპრილის #60-01191024615 წერილი (AR1673110) და თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ მოქალაქე გიორგი ბენდელიანის მომართვის საფუძველზე, ქ. თბილისში, ბუხაიძის II შესახვევი #14-ში (ს.კ. #01.16.06.048.015)(ფუნქციური ზონა: სზ-5) არსებულ მიწის ნაკვეთში, III კლასის ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების პროექტის ფარგლებში, ახალი გამწვანებული სივრცეების მოსაწყობად შემოთავაზებული 13 ერთეული (1 ძირი იტალიური ფიჭვი, 2 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი, 10 ძირი ჩვეულებრივი ბზა) მცენარის რაოდენობა სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (74,4კვ.მ). გასამწვანებლად შემოთავაზებული საპროექტო მცენარეები (სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით.

ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.

ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ საინფორმაციო დაფის გამოკვრამდე, განმცხადებელმა მასში უნდა შეიტანოს შემდეგი ცვლილებები: ნებართვის გამცემ ორგანოდ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის ნაცვლად უნდა იყოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, პროექტის შეთანხმების თარიღი უნდა განისაზღვროს მშენებლობის ნებართვის თარიღის შესაბამისად, ასევე, უნდა მიეთითოს დასარგავი ხეების გარშემოწერილობა. ხოლო, ვინაიდან, ტერიტორიაზე არ არის გადასარგავი მწვანე ნარგავები, აღნიშნული გრაფის მითითება საჭირო არ არის.

აქვე მოგახსენებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის" შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოიყენება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი 21-ე მუხლის 5^1-ე პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი